

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

გამოქვეყნების თარიღი: 04 აგვისტო, 2022წ.

წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას თქვენსა (შემდგომში „მომხმარებელი“ ან „თქვენ“) და შპს „ეკლექტიკ“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404556814, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ვ. ბარნოვის ქ., N59) შორის (შემდგომში „ჰალო“ ან „ჩვენ“).

ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი მომსახურების მისაღებად, ყურადღებით უნდა გაეცნოთ და დაეთანხმოთ წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის რომელიმე დებულებას არ ეთანხმებით, გთხოვთ, არ განაცხადოთ თანხმობა მასზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ შეძლებთ ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლას, პროდუქციის შეძენასა და მიღებას.

1. მონაცემების დაცვა

1.1. ვებ-გვერდზე რეგისტრაციისას, მომხმარებელი ჰალოს აწვდის პერსონალურ მონაცემებს, კერძოდ სახელს, გვარს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, პირად ნომერს, ფოტოსურათს, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს, მობილურ ნომერსა და მისამართს (მიტანის სერვისით სარგებლობის შემთხვევაში) სარეგისტრაციო ფორმისა და ვებ-გვერდზე განთავსებული ონლაინ გადახდის ფუნქციონალის მეშვეობით. რეგისტრაციის გავლით მომხმარებელი პირდაპირ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ ჰალომ შეინახოს და გამოიყენოს აღნიშნული მონაცემები მომხმარებლისთვის თავისი პროდუქციის/მომსახურების მისაწოდებლად. მომხმარებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გაიხმოს თანხმობა, შემდეგ იმეილზე გახმობის მოთხოვნის გაგზავნის გზით: info@hallo.ge.

2. მონაცემთა უსაფრთხოება

2.1. ჰალო იყენებს ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომებს, რათა დაიცვას მომხმარებლის პერსონალური მონაცემები შემთხვევითი ან განზრახ დაკარგვისგან ან განადგურებისგან ან არაუფლებამოსილი პირების მხრიდან წვდომისგან. ჰალო მუდმივად ანახლებს უსაფრთხოების ზომებს ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად. ჰალო იყენებს მხოლოდ ისეთ უფლებამოსილ პირებს, რომლებიც გასცემენ საკმარის გარანტიას, მიიღონ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები იმგვარად, რომ დამუშავება შეესაბამებოდეს მოქმედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მომხმარებლის უფლებების დაცვას. უფლებამოსილი პირები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ მხოლოდ ჰალოს მითითებების შესაბამისად.

2.2. ჰალოს მიერ შესაძლოა მოხდეს თქვენ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მინიჭება მესამე პირებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ჩვენ შორის არსებული შეთანხმებ(ებ)ით ან/და იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირებისთვის წვდომის მინიჭება აუცილებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. მონაცემების შენახვის ვადა

3.1. ჰალო ამუშავებს და ინახავს პერსონალურ მონაცემებს იმ ვადით, რაც საჭიროა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ან იმ ვადით და იმ მოცულობით, რაც სავალდებულოდ დადგენილია კანონით ჰალოს მიერ ამგვარი მონაცემების დამუშავების ან/და შენახვისთვის. თუ დამუშავების მიზანი აღარ არსებობს და ამოწურულია კანონით დადგენილი მონაცემთა შენახვის ვადა, ჰალო რუტინული წესით წაშლის მონაცემებს ან შეზღუდავს მონაცემთა დამუშავებას მოქმედი სავალდებულო ნორმების შესაბამისად.

4. Cookie ფაილების გამოყენება

4.1. ვებ-გვერდი იყენებს ე.წ. Cookie ფაილებს, რათა ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალური ფუნქციონალი და გააანალიზოს თქვენ მიერ ჩვენი ვებ-გვერდის მოხმარება. Cookie წარმოადგენს პატარა ფაილს, რომელიც ინახავს გარკვეულ ინფორმაციას მომხმარებლის მიერ წვდომისთვის გამოყენებული მოწყობილობის (პერსონალური კომპიუტერი, ტაბლეტი, სმარტფონი და სხვა) შესახებ ამავე მოწყობილობაში. როდესაც ასეთი მოწყობილობა დაუკავშირდება ჩვენი სერვერის ვებ-გვერდს, სერვერი იღებს შესაბამის Cookie ფაილს. სერვერს შესაძლებლობა აქვს დაამუშაოს Cookie ფაილში შენახული ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდებით. Cookie ფაილის მეშვეობით შესაძლებელია დავიმახსოვროთ მომხმარებლის არჩევანი, რათა ავტომატურად მოხდეს მომხმარებლის დაშვება თქვენს მართვის პანელთან და ამგვარად მომსახურება იყოს უფრო კომფორტული მომხმარებლისთვის. მომხმარებელს შეუძლია გაააქტიუროთ Cookie ფაილები ან განახორციელოს მათი დეაქტივაცია ბრაუზერის პარამეტრებიდან. თუმცა, თუ მომხმარებელი განახორციელებს Cookie ფაილების დეაქტივაციას, შესაძლოა ვეღარ გამოიყენოს ჩვენი ვებ-გვერდის ყველა ფუნქცია.

5. Cookie ფაილების დამუშავება მესამე მხარეების მიერ

5.1. ჰალოს ვებ-გვერდი შესაძლოა შეიცავდეს ბმულებს (ცალკე არსებული ბმულები, ვიდეოები, სურათები, სტატიები და სხვა), რომლებიც გადაგიყვანთ სხვა საიტებზე/ვებგვერდებზე.

თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ამ ვებგვერდებმა, მათი გამოყენებისთანავე შეიძლება შეაგროვონ მონაცემები თქვენს შესახებ, გამოიყენონ Cookie ფაილები ან/და მონიტორინგი გაუწიონ თქვენს მოქმედებებს.

თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით, ჰალოს პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება მხოლოდ უშუალოდ ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენ მიერ განხორციელებული და თქვენ მიერ ნებადართული მოქმედებებით. ჰალოს არ აქვს კონტროლი მესამე პირის ვებ-გვერდების მიერ თქვენი მონაცემების დამუშავებასა და გამოყენებაზე. ჰალო არ არის პასუხისმგებელი თქვენი კონფიდენციალური ინფორმაციისა და იმ პერსონალური მონაცემების დაცვაზე, რომლებსაც თქვენ სხვა ვებ-გვერდისთვის, ამ უკანასკნელზე სტუმრობისას ხელმისაწვდომს გახდით.

6. განცხადებები და გარანტიები

6.1. ჰალო აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ ჰალოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

- 7.1. წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.2. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენ შორის ამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით, ან დაკავშირებულია მასთან, მის დარღვევასთან, შეტყვევასთან ან ბათილად ცნობასთან, უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში.

8. ცვლილებები და დამატებები

ჰალო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში. აღნიშნული დოკუმენტის განახლებული ვერსია აიტვირთება ვებ-გვერდზე და მიეთითება გამოქვეყნების თარიღი, რომელიც იმავდროულად იქნება ძალაში შესვლის თარიღი. ჩვენ შესაძლოა გავუზიაროთ მომხმარებელს შეტყობინება დოკუმენტში ცვლილების თაობაზე. მომხმარებელს ეძლევა რეკომენდაცია, მისთვის მისაღები პერიოდულობით გადაამოწმოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის ცვლილების სტატუსი ჩვენს ვებ-გვერდზე.